<u>კონკურსის დეტალები</u>

<u>საკონკურსო წესები:</u>

1. საკონკურსო მასალებთან ერთად აპლიკანტმა უნდა გამოაგზავნოს შევსებული განაცხადის ფორმა (იმეილით ან პირადად მოგვაწოდოს).
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება უფასოა.
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში მოქმედ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს.
4. საკონკურსო წესების და პირობების დაცვა სავალდებულოა.

<u>ჟურნალისტებისთვის</u>

5. ჟურნალისტური ნამუშევრები 2009 წელს უნდა იყოს გამოქვეყნებული, ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში.
6. თითოეულ ნომინაციაში მაქსიმუმ 3 მასალის წარდგენაა შესაძლებელი.
7. ჟურნალისტური ნამუშევრების წარდგენა შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე.
8. მასალები უნდა იყოს დანომრილი (1, 2, 3.) და ეწეროს ნომინაციის დასახელება:
9. ფაილების სახელები უნდა შეესაბამებოდეს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ინფორმაციას.
10. მასალები შეფასდება გადმოცემული ინფორმაციის ღირებულების, ექსკლუზიურობის და ჟურნალისტის პროფესიონალიზმის (წერის ოსტატობა, ჟურნალისტური სტანდარტები) მიხედვით.

<u>ფოტორეპორტიორებისთვის</u>

11. „უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიულ ქსელს“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრს“ ეძლევათ უფლება, შეუზღუდავად გამოიყენოს კონკურსის მონაწილე ფოტო მასალა ორგანიზაციის მიზნებისთვის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.
12. ფოტო ნამუშევრები 2009 წელს უნდა იყოს გადაღებული.
13. კონკურსში მიიღება ფოტოები მხოლოდ ციფრული სახით.
14. თითო ფოტორეპორტიორს ნომინაციაში საუკეთესო ფოტო კადრი შეუძლია მაქსიმუმ 3 ფოტოს წარდგენა.
15. ფოტო რეპორტაჟი უნდა მოიცავდეს 3-დან 10 ფოტოს ჩათვლით. ფოტო სერია, რომელიც ამ რაოდენობაზე ნაკლები ან მეტი იქნება არ მიიღება აღნიშნულ კატეგორიაში.
16. ნომინაციაში საუკეთესო ფოტო რეპორტაჟი მხოლოდ ერთი ფოტო სერიის წარდგენაა შესაძლებელი.
17. ფოტოებს თან უნდა ახლდეს სიტყვიერი აღწერილობა არაუმეტეს 150 სიტყვისა, თუ სად და რა ვითარებაშია ფოტო გადაღებული და რა კავშირშია ადამიანის უფლებებთან. ტექსტი შეიძლება იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე.

18. ფოტოები უნდა იყოს დანომრილი (1, 2, 3, ა.შ.). ფოტოები, რომებიც ფოტო-რეპორტაჟს ასახავენ, უნდა შეიცავდეს ანბანურ თანმიმდევრობას **A** და შემდეგ ციფრს, რომელიც აღნიშნავს ფოტოს რიგითობას მაგ.: A1, A2, A3 და ა.შ. ფოტოების რაოდენობიდან გამომდინარე.
19. ყოველ ფოტოს უნდა მიენიჭოს კოდი:
    1. ფოტო რეპორტაჟი - **A**
    2. ფოტო კადრი - **B**

    მაგალითად: A1, A2, A3, A4… (ფოტორეპორტაჟი);
    B1, B2, B3 (ფოტო კადრი);
20. ფოტო-ფაილების კოდები უნდა შეესაბამებოდეს სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ინფორმაციას.
21. ფოტოები დაიბეჭდება A-2 ან A-3 ფორმატზე. იმისათვის, რომ მოხდეს ფოტოს გადიდება, ყოველი ფოტო უნდა გამოიგზავნოს ცალკე ფაილად JPEG ფორმატში (უმაღლესი ხარისხით).
22. ფოტოს ზომები: კადრის 300 dpi. 3000 pixel (კადრის გრძელი მხარე), jpg შეკუმშვა 10-11.
23. ფოტო რეპორტაჟის და ერთი კადრის ნომინაციაზე წარდგენილი ფოტო მასალის ორიგინალი ფაილის სტრუქტურა არ შეიძლება იყოს შეცვლილი და ციფრული ტექნოლოგიებით მანიპულირებული.
24. ფოტო რეპორტაჟის და ფოტო კადრის ნომინაციაზე მიიღება მხოლოდ დაუმუშავებელი სურათები, რომელიც არ შეიცავს კოლაჟებს, კომპიუტერულ ეფექტებს და არ არის დადგმული.
25. ფოტოები შეფასდება მასზე ასახული ფაქტის მნიშვნელობისა ასევე ფოტოს შინაარსობრივი და ტექნიკური მხარის მიხედვით.

<u>განაცხადის წარდგენა</u>

მასალების ელექტრონული ვერსია და სარეგისტრაციო ფორმა გამოაგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე **ana@hridc.org** საკონტაქტო პირი: ანა ნაცვლიშვილი, „უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის“ კოორდინატორი საქართველოში ან მოიტანეთ შემდეგ მისამართზე:

ადამიანის უფლებათა ცენტრი
თბილისი, ყაზბეგის გამზ. 3ა, სადარბ. 2, IV სართული, ბინა 22

ტელ.: 37 69 50; 38 46 48
ვებ-გვერდები: www.caucasusnetwork.org; www.hridc.org

26. განაცხადები მიიღება 2009 წლის 4 დეკემბერს 18 საათამდე.
27. გამარჯვებული გაირკვევა დაჯილდოების ცერემონიაზე 18 დეკემბერს.

<u>ჯილდოები</u>

<u>ჟურნალისტებისთვის</u>

28. საუკეთესო სტატიის ავტორს გადაეცემა 300 ევრო ფულადი ჯილდო;
29. საუკეთესო საგამოძიებო სტატიის ავტორს - 300 ევრო;

<u>ფოტორეპორტიორებისთვის</u>

30. საუკეთესო ფოტო კადრის ავტორს გადაეცემა 150 ევრო ფოლადი ჯილდო;
31. საუკეთესო ფოტო რეპორტაჟის ავტორს - 300 ევრო.

32. გამარჯვებულებს გამოავლენს კვალიფიციური ჟიური.